საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №Ი-567

ქ. თბილისი "03" 11 2010 წ.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტი"-ს „აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სვენეთი-რუისის მონაკვეთზე, მე-2 ლოტის შემოვლითი გზისა და მდ. ლიახვზე ახალი ხიდის მშენებლობის" საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვენის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №78; 25.10.2010წ „აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სვენეთი-რუისის მონაკვეთზე, მე-2 ლოტის შემოვლითი გზისა და მდ. ლიახვზე ახალი ხიდის მშენებლობა"
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტს.